თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4974226

ნომერი: AR1752333

თარიღი : 04.06.2020

გაცემის თარიღი : 05.06.2020

გაცნობის თარიღი : 01.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 48;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, მამია გურიელის ქ., N 5ა, საოფისე ფართი, სართული-1

ორგანიზაცია:

- შპს ეპიკ ისანი კოდი: 401992368

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 4 ივნისს №AR1752333 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში ქუჩა ბ. ხმელნიცკი, №48-ში, №01.17.11.027.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე, ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 2 აპრილიდან 2023 წლის 2 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2020 წლის 5 აპრილის №4921721 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში, კერძოდ მიუთითებს, რომ ბრძანებაში დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომრის ველში შპს "ეპიკ ისანის" (ს/ნ: №401992368) დირექტორის - ვასილი ჯალაღონიას პირად ნომრად №62001000952 ნაცვლად არასწორად მიეთითა №62001016420. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის შესწორებას.

საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882019992072, მომზადების თარიღი: 28/11/2019 წ.) თანახმად, №01.17.11.027.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ეპიკ ისანი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: №401992368). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: B19079497, მომზადების თარიღი: 22/07/2019 წ.) თანახმად შპს „ეპიკ ისანის“ დირექტორს წარმოადგენს ვასილი ჯალაღონია (პ/ნ: №62001000952).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებაში და დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომრის ველში დაფიქსირდეს №62001000952.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №4919374 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.